



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 75

2015 წლის 25 აგვისტო

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილში სახალხო დღესასწაულის „შატილობის“ ორგანიზების მომსახურებაზე გამარტივებული შესყიდვის წესით შესყიდვაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილში სახალხო დღესასწაულის „შატილობის“ ორგანიზებაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერები (SPA 150021933 და SPA 150022450) არ შედგა, ხოლო ტენდერის მესამედ ჩატარებას, გარკვეული დრო სჭირდება („შატილობა“ ტარდება 2015 წლის 05 სექტემბერს), რის გამოც „შატილობის“ ორგანიზება შეუძლებელი გახდება.

გამომდინარე აქედან შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს, როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილში სახალხო დღესასწაულის „შატილობის“ ორგანიზების მომსახურება განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარზე.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.